



თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ქ. თელავი

N 7
25/01/2019

7-09-4-201901252015



**„თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო
საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის
დადგენის შესახებ“ ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი
აქტის მიღებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული
წარმოების დაწყების
შ ე ს ა ხ ე ბ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“
24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი
ადმინისტრაციული კოდექსი“ 106¹ მუხლის პირველი და მეორე ნაწილების თანახმად,

1. დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება „თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ“ ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიღებასთან დაკავშირებით.
2. საკრებულოს აპარატს დაევალოს ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტთან ერთად გამოაქვეყნოს ცნობა ადმინისტრაციული წარმოების შესახებ.
3. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებში და ფრაქციებში „თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ“ ნორმატიული აქტის¹ პროექტის განხილვა განხორციელდეს 2019 წლის 20 თებერვლამდე.

4. „თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ“ პროექტი საკრებულოს დასამტკიცებლად წარედგინოს - 2019 წლის 28 თებერვლამდე.
5. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
6. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, თელავის რაიონულ სასამართლოში, მისი ძალაში შესვლიდან 1 თვის ვადაში (მის: ქ. თელავი, დავით აღმაშენებლის N41).

გიგა ორკოდაშვილი



საკრებულოს თავმჯდომარე - მ.შ.
თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

